

გარდაიცვალა რეიდა აბაშიძე



ცნობილი ქართველი მსახიობი რეიდა აბაშიძე 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობი კლინიკაში რამდენიმე თვის წინ თავის ტვინის იშემიური ინსურტის დიაგნოზით მოათავსეს.

რეიდა აბაშიძე 1929 წლის 1 აგვისტოს თბილისში დაიბადა. ეკრანზე პირველად 1941 წელს ფილმში “ქაჯანა” გამოჩნდა, სადაც კატოს როლს ასრულებდა და პარტნიორობას ნატო ვაჩნაძეს უწევდა. იმ დროისათვის მომავალი დიდი კინოვარსკვლავი მხოლოდ რვა წლის იყო.

1951 წელს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. 1966 წელს ქაღის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სიკო ლორიძის ფილმში “შეხვედრა წარსულთან” რეინგრადის საკავშირო კინოფესტივალის პირველი პრემია მიიღო. რეგენდარულ მსახიობს 30-მდე ქართულ ფილმში აქვს ნათამაშები. ნატო ვაჩნაძის შემდეგ რეიდა აბაშიძე ყველაზე პოპულარული ქართველი ვარსკვლავი გახდა. მან კომედიურ როლებთან ერთად სრულიად განსხვავებული სახეები და ტიპაჟები განასახიერა.

2009 წლის 8 მარტს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ რეიდა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნა.